გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება № 14
2023 წლის 13 იანვარი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის ბოშურის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ბოშურის ადმინისტრაციული ერთეულში მერის წარმომადგენელის მოხსენებითი ბარათი, რომლითაც მოთხოვნილია ბოშურის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში გეოგრაფიული პუნქტებისა და გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი საგზაო ნიშნების განთავსება.

აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ და მიზანშეწონილად მიიჩნია გორის მუნიციპალიტეტის ბოშურის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე (სოფლების მიხედვით) განთავსდეს შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) სოფელ ტუსრევის დასაწყისში და ბოლოში:

ა.ა) -5.23.1- დასახლებული პუნქტის დასაწყისი „ტუსრევი“;

ა.ბ) -5.24.1- დასახლებული პუნქტის დასასრული „ტუსრევი“.

ბ) სოფელ ყველაანთუბანის დასაწყისში და ბოლოში:

ბ.ა) -5.23.1- დასახლებული პუნქტის დასაწყისი „ყველაანთუბანი“;

ბ.ბ) -5.24.1- დასახლებული პუნქტის დასასრული „ყველაანთუბანი“.

გ) სოფელ გაგლოაანთუბანის დასაწყისში და ბოლოში:

გ.ა) -5.23.1- დასახლებული პუნქტის დასაწყისი „გაგლოაანთუბანი“;

გ.ბ) -5.24.1- დასახლებული პუნქტის დასასრული „გაგლოაანთუბანი“.

დ) სოფელ ლევიტანას დასაწყისში ჩდილოეთის მხრიდან:

დ.ა) -5.23.1- დასახლებული პუნქტის დასაწყისი „ლევიტანა“;

დ.ბ) -5.24.1- დასახლებული პუნქტის დასასრული „ლევიტანა“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის ბოშურის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე (სოფლების მიხედვით) განთავსდეს მითითებული საგზაო ნიშნები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გორის მუნიციპალიტეტის ბოშურის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე (სოფლების მიხედვით) განთავსდეს შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) სოფელ ტუსრევის დასაწყისში და ბოლოში:

ა.ა) -5.23.1- დასახლებული პუნქტის დასაწყისი „ტუსრევი“;

ა.ბ) -5.24.1- დასახლებული პუნქტის დასასრული „ტუსრევი“.

ბ) სოფელ ყველაანთუბანის დასაწყისში და ბოლოში:

ბ.ა) -5.23.1- დასახლებული პუნქტის დასაწყისი „ყველაანთუბანი“;

ბ.ბ) -5.24.1- დასახლებული პუნქტის დასასრული „ყველაანთუბანი“.

გ) სოფელ გაგლოაანთუბანის დასაწყისში და ბოლოში:

გ.ა) -5.23.1- დასახლებული პუნქტის დასაწყისი „გაგლოაანთუბანი“;

გ.ბ) -5.24.1- დასახლებული პუნქტის დასასრული „გაგლოაანთუბანი“.

დ) სოფელ ლევიტანას დასაწყისში ჩდილოეთის მხრიდან:

დ.ა) -5.23.1- დასახლებული პუნქტის დასაწყისი „ლევიტანა“;

დ.ბ) -5.24.1- დასახლებული პუნქტის დასასრული „ლევიტანა“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**